№ 103
კვირა, 13 მაისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

# ივერია

№ 103
კვირა, 13 მაისი, 1901 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 2[illegible] ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 მაისს.

## სახალხო სეირნობა

### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 3 დღესა საღამოს აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

## საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლის მოქმედებისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

6, არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა.

(3—უ—1)

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—6—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი.—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდის.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

აუცრის ყვავილს კვირაობით—9—10 საათ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## სამკურნალო კაბინეთი

დ ო ქ ტ ო რ ი ს

## ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილისა და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—43)

## ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შემდეგი ბრძანება გაუგზავნა სადგურის უფროსებს: იმ შემთხვევაში, როდესაც მატარებელში ადგილი არ ეყოფათ ბილეთ-აღებულ მგზავრებს, ეს მგზავრები უფრო ძვირფასიან კლასებში გადაიყვანონ ხოლმე, ამასთან მეტი ფული არ უნდა გამოერთვას მგზავრებს. თუ ძვირფასიან კლასის ვაგონები სავსეა და მგზავრს იაფ-ფასიან კლასში მოუხდა გადასვლა, ამ მგზავრს უფლება აქვს ან თავისი ბილეთი უკან გადასცეს და იმის ნაცვლად იაფ-ფასიანი ბილეთი და მეტი ფული მიიღოს, ან სულ აღარ წავიდეს და ბილეთის ფული მოითხოვოს. თუ მატარებელში საკმაო ადგილი არ იქნება მგზავრთათვის, სადგურის უფროსმა ეს ამბავი შემდეგ სადგურის უფროსს უნდა აცნობოს დეპეშით, შეატყობინოს მეტ მგზავრთა რიცხვი, რომ მას შეეძლოს ახალის ვაგონების მომზადება და მატარებლის მოსვლისას მობმა ამ ვაგონებისა. ამას გარდა გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ გაყიდულ ბილეთების რიცხვი არ აღემატებოდეს ხოლმე მატარებელის ადგილების რიცხვს.

*** დღეს, 13 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ნიჭიერის მწერლის ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) სულის მოსახსენებლად.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება დანიშნულია 3 ივნისისათვის.

*** გუშინ-წინ, 11 მაისს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში თავ. გ. თუმანოვის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წელს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენაზედ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გამოსაფენად პავილიონის გამართვის საქმე. კომისიამ გარდასწყვიტა ააშენონ ცალკე პავილიონი და საჭირო ფული პავილიონის გასამართავად გააწერონ ყველა იმ რედაქციებისა, სტამბებისა და ლიტოგრაფიების პატრონებს, რომელნიც

---

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო სოფრომ!

როცა კარგს რასმე ვხედავ ჩვენში ან გაკეთებულს და ან დაწერილს, გინდ ჩემის მოსისხარ მტრისაგანაც იყოს, აღტაცებაში ვვარდები!.. მავიწყდება ყოველიფერი საპირადო და მზადა ვარ მტერი გულში ჩავისვენო და წინ ფიანდაზად დავეფინო!.. აგრეთვე უნიჭოდ დაწერილი და უხიაგად ჩანადენი რამ გულს მიკლავს დ მაბრაზებს... ჩემთვის თავ-დადებული მეგობარიც რომ იყოს, ხელს ვერ დავაფარებ და პირისპირ წუნს დავდებ. დღევანდელ ცხოვრებისათვის ეს ახირებულობა საწამლავია: მოყვარეს არა ჰზოგავს?—გაუტანელიაო! მტერზე კარგს ამბობს?—უხასიათოაო! ჰფიქრობს უმეტესობა. ეს ყოველიფერი, მართალია, კარგად მესმის, მაგრამ განა გულს შეუძლი ან მისი ღალატი, რაც ადამიანს შესისხლხორცებია და რჯულად გადაჰქცევია? მე არ მინდა, და რომ კი დეც მოვინდომო, ვერ მოვახერხებ, გულ-გრილად გვერდი ავუარო ჩვენის ქვეყნის ავსა და კარგს, გინდ მცირედიც იყოს ის, თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც ჩავერევი და კიდეც ეს არის ჩემის ცხოვრების ნარი-ეკალი!.. სიტყვა ერთგან თქმული და მეორეგან სხვებისაგან გადატანილი, იგივეა, რაც ნამდვილი და მისი აჩრდილი: ერთი ხორც შესხმული და მეორე-კი ხელში ვერ დასაჭერი, კაცუნა ნაცარ-ქექიების დამფრთხობი და ამაყაყანებელი ლანდი.

ბავშვობისას ერთმა მთიულმა გლეხმა დამლოცა: „გაგზარდოს და გაგადიდოს უფალმა, ისე როგორც მაღლიდგან დაგორებული თოვლის გუნდა და ან სოფლის ჭორიო“.

რამდენი ჭეშმარიტება და სიბრძნეა ამ ორს ლექსში! დიახ! ხშირად ერთი რომელიმე პატარა მთის ჩიტი უცაბედად შეარხევს შტოს, უნებურად ჩამოაგდებს თოვლის ნაგუნჯალს, ის დაკოტრიალდება თავდაღმართისკენ და თანდათან იზრდება, გადაიქცევა დიდ უშველებელ ზვავად და უცნაურის ხმაურობით ჩადის ბარად. იქ კი იშლება ათას სხვადა სხვა თოვლის გუნდებად და სანამ გაზაფხული არ გააქარწყლებს, ყველას წინ ხვდება... თვალში ეჩხირება!.. სწორედ ამგვარივეა გადატანილ-გადმოტანილი სიტყვაც, ანუ სოფლის ჭორი! მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ ბარს გაზაფხული რამდენისამე თვის შემდეგაც უდგება და ჭორებით ყბად აღებულ ადამიანს კი გვიან—სიკვდილის შემდეგ.

ჰერიჰაა! ესეები რა დროსიაო?—იტყვი ჩემზედ—ახალი ნაალდგომევია, მე ჩემს კონსისტორიაში ყელამდი საქმეებში ვარ ჩაფლული, წამ წუთი თვეებად მიღირს და იმას-კი ჭიანური გაუბამს?!. მართალია, მეც გეთანხმები, მაგრამ შენივე ბრალია: რათ გაუბი ჩემდა უნებურად სიმები ჩემს ჭიანურს? „ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო“, ხომ გაგიგონია? აბა, ყური უნდა დამიგდო! მეტი გზა აღარა გაქვს. სატაბლო საქმეებს მერეკ მოესწრები. სულ პირველად რომ შენი „ცეცო“ წავიკითხე, მომეწონა. მართალია, ნაცადი ხელის ძალიანი შალაშინი აკლდა, სხვა-და სხვა ნაწევრების ერთმანეთთან გადაკავშირება ხელოვნური ვერ იყო, მაგრამ შიგა და შიგ, ცალკ-ცალკე-კი ჰკაფიობდა ავტორის ნიჭი და შემოქმედების ძალა. „აი ვისგან უნდა გამოველოდეთ ბევრს, თუ გრძნობა-გონებას საზრდოს არ გამოულევს-მეთქი“... ვამბობდი აღტაცებით. გაიარა დიდმა ხანმა და მოლოდინი არ გამიმართლდა!.. ხელოვნებამ ადგილი დაუთმო პუბლიცისტურ ქადაგებას შენს მწერლობაში და აღმა-ფრენას ფრთები შეეკვეცა! შენც, მიუხედავად შენის დიდის ნიჭისა, დაგიხელთა, დაგიმორჩილა იმ სენმა, უცხოეთიდგან რომ შემოგვეპარა, ესე იგი, კაზმულ სიტყვით ქადაგებამ, რომელიც ასე უდგება და უხდება ჩვენს ცხოვრებას, ზნესა და ჩვეულებას, როგორც გოდა კახურს და კვასი ოჯალეშს! ხელოვნება თავის-თავად, მარტივად, შვენიერება და ძლიერებაა! როგორც მზეთუნახავს არ ეჭირვება ფერ-უმარილი და მორთვა-მოკაზმვა, ისე არც ხელოვნურ ნაწარმოებს ზედ-მეტი სიტყვა-კაზმულობა და გაცვეთილი აზრებით გაფერება. ეს უბრალო ჭეშმარიტება შენ ჩემზედ ნაკლებად არ გესმის, მაგრამ ძნელია წამხედურობა! ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „წამხედობამ წაახედაო, სხვისი თვალით გაიხედაო“! შენ გული სხვების მიხედვას გადააყოლე და მეც მომიკალი გული.

ხომ იცი?! როცა ვისმესაგან ბევრს გამოელი და ცოტას მეტს ველარ ღებულობ, გინდ სულაც არ მიგელოს, ისე გწყდება გული. შარშანდელმა შენმა თხზულებამ „წარსულიდგან“ ისევ მომიბრუნა გული მოულოდნელად. აქ ყოველიფერი იყო, რაც-კი მოეთხოვება ნიჭს: სიტყვა, კილო, აზრი, „ცალ-ცალკეობა და გაერთიანებაცა“. ის იყო უფუნჩო სარკე ჩვენი მამების ცხოვრებისა. მღვდელი, ერი, ბატონი, ყმა, ქალი, კაცი, მოხუცი და ყმაწვილი, ყველა

მონაწილეობას მიიღებენ პავილიონის გამართვის საქმეში.

** სამშაბათს, 15 მაისს, ქალაქის საბჭოს სხდომა ექმნება წინანდელ სხდომაზედ დარჩენილ საქმეთა განსახილველად.

** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებსა და კავკასიაში ხეხილების საცდელ სადგურე‘ის დაარსების შესახებ.

** საერო განათლების სამინისტროს კანონიერად უცვნია ტფილისის გუბერნიის სახალხო დირექციის განკარგულება ტფილისის მიხეილის სახელობისნო სასწავლებელში პარალელურ განყოფილებათა გაუქმების შესახებ და არ შეუწყნარებია ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ამ განყოფილებათა მომავალ წელში თანდათან გაუქმების შეს ხებ.

** როგორც ხაშურიდგან გვატყობინებენ, 10 მაისს, მე 177 ვერსზედ ლიანდაგზედ უნახავთ მატარებლისაგან გაჭყლეტილი კონდუქტორი ქრისტესია გვარამაძე.

** კავკასიის მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ქ. ტფილისის პავილიონის გამმართველ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ზოგიერთ ადგილობრივ ხმოსნებს შეაქვთ ოურმე საბჭოში განცხადება გაზ. „Черн. Вѣст.“-ის რედაქტორის პალმის პასუხის გებაში მიცემის შესახებ ბექდვითის სიტყვით ცილის წამებისა გამო; ხოლო ერთს გამგეობის ყოფილ წევრს განუზრახავს პასუხის გებაში მისცეს ამავე გაზეთის ცენზორი შეურაცხმყოფელ წერილის დასაბეჭდად ნება-რთვის მიცემისათვის.

** 2 მაისს ქუთაისის ეპისკოპოსის გაბრიელის სახსოვრად არსებულ წიგნთ-საცავის გამგეთა კრებას აურჩევია საპატიო წევრებად: იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, უგან. თავ. გ. ლ. დადიანი, თავ. პ. შერვაშიძე, თავ. პ. თუმანოვი, გ. ფ. ზდანოვიჩი, დ. ა. ლორთქიფანიძე და ს. ვ. თოფურია; კომიტეტის წევრებად: კნეინა ა. ნიჟარაძისა, კნეინა კ. ლორთქიფანიძისა, მღ. ლ. გველესიანი, ვ. ა. დემიდოვი, ვ. ლ. ჭილაძე, თავ. ი. ნიჟარაძე, თავ. გ. აბაშიძე და ა. მ. კრინიცკი. („ახ. მიმ.“).

** 4 აპრილს გამართულ წარმოდგენიდგან („ედმონდ კინი“) წმინდა შემოსავალი 415 მან. 76 კაპ. გ ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილს შეუწირავს ნაძალადევში ახლად დაარსებულ სამკითხველოსათვის.

** 12 მაისს, ნაშუაღამევის $3^{1}/_{2}$ საათზედ რკინის გზის ტფილისის სადგურის კასსას, რომელიც მოთავსებულია ქვემო სართულში, სატელეგრაფო ოთახის ქვეშ, ქურდები დაეცნენ. ქურდებმა ფანჯრის რკინის ხარიხები გამოამტვრიეს და ერთი თავიანთი ამხანაგი ჩაუშვეს სარდაფში. კასსასთან ეძინა მორიგ მეარტელეს, იქვე ყარაულობდა ოთხი ჟანდარმი, რადგანაც შეტყობილი ჰქონიათ, რომ კასის გაძარცვას აპირებენო. სარდაფში მყოფმა ჟანდარმებმა, დაინახეს თუ არა ოთახში ჩამოპარული ქურდი, მაშინვე რევოლვერები დაუშინეს. ტყვია გულში მოხვედროდა ამ ქურდს და იქვე მომკვდარიყო. სადგურის გარედაც რამდენიმე ჟანდარმი დარაჯობდა. გარედ დარჩენილმა ქურდებმა, რაკი რევოლვერის სროლის ხმა გაიგონეს, აღარ დაიცადეს და მაშინვე გაიქცნენ. ჟანდარმებმა გაქცეულნი ვერ დაიჭირეს. გუშინ დილით ჰნახეს სარდაფში ჟანდარმების მიერ რევოლვერით მოკლული კაცი. ვინაობა ამ მოკლულისა ვერ გაიგეს. იგი ასე, 18 ან 19 წლის კაცია. ფეხშიშველია, ტანზე აცვია წითელი ზოლებიანი ბლუზა და ძველი დაგლეჯილი შარვალი.

** პეტერბურგის ნიკოლოზის უმთავრესს სფიზიკო ობსერვატორიის დირექტორს მ. რიკაჩევს დაუნიშნავს ამ ლაბორატორიის წარმომადგენლად ტფილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროს ტფილისის სფიზიკო ობსერვატორიის დირექტორი გლასეკი, რომლისთვისაც დაუვალებია მეტეოროლოგიურის განყოფილების გამართვა.

** 10 მაისს პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. პ. იანოვსკი.

** როგორც „ახ. მიმოხ.“-ს ზუგდიდიდგან სწერენ, 7 მაისს, ს. დარჩელში ბოქაულს კვარაცხელიას პოლიციის დარაჯებითურთ შეუპყრია ციმბირიდგან გამოქცეული ს. კახათის მცხოვრები მ გ. კუპრავა.

** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულს შემნახველ კასსაში ამ წლის დამდეგიდგან 1 მაისამდის შეუტანიათ სულ 178,853 მან. 50 კაპ. და უკანვე გაუტანიათ 41,393 მან. 40 კაპ.

** 11 მაისს აგრონომს ფირალოვს წარუდგენია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის უკვე შედგენილი პროექტები კავკასიის შინა მრეწველთა კრების პროგრამა დებულებისა.

** სოფ. გიშელი (კავკავ. მაზრა). აპრილის შუა რიცხვებში აქ შემდეგი ამბავი მოხდა: ქურდებს სტანიცა არხონსკიდგან რუსის უაზახის ოთხი ცხენი მოეპარათ. უაზახებმა კვალი წამოიდეს ს სოფ. გიზელში მოიტანეს. გიზელის მამასახლისმა და უაზახებმა კვალი აქედგან სანების ხეობაში მიიტანეს. ამ დროს შეხედეს, რომ სამი ქვეითი კაცი მოდის ბერდანის თოფებით მხარზედ გადებული. ქვეითმა კაცებმა რომ უაზახები დაინახეს, მაშინვე გზას გადაუხვიეს და ტყეში შეცვივდნენ. მდევარმა, რასაკვირველია, აშვი იდრო: „უსათუოდ ესენი არიან ცხენების მომპარავნი და იმალებიანო“ და დაუძახეს — „დადექითო“! კაცები კი მაინც გარბოდნენ. მდევარმა სამჯერ კიდევ განუმეორა — დადექითო და მერე კი თოფები დაუშინეს. მალე ერთი გაქცეულთაგანი მიწაზედ გაგორდა, და თოფის სროლაც შესწყვიტეს. მივიდნენ და ნახეს, რომ მოკლული ს. გიზელში მცხოვრები უმაწვილი კაცი დოევი-კი იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ესენი ქურდები კი არა ყოფილიყვნენ, არამედ დათვზედ სანადიროდ წასულიყვნენ მთაში. საბრალოს რუსის უაზახები რომ შეენიშნათ, შეშინებოდათ ბერდანის თოფებს წაგვართმევენო და ამიტომ გაქცეულიყვნენ, მაგრამ თოფების მაგივრად კი უდანაშაულო კაცი ამსხვერპლეს უაზახებს.

** ბარის-ოსეთი. წრეულს აქეთ გაზაფხული აპრილის შუა რიცხვებამდე ძლიერ სიცხეებიანი იყო, ასე რომ ხალხი შეფიქრიანდა — მოსავალს ავნებსო; აპრილის თექვსმეტიდგან-კი ბუნებამ გაგვიღიმა და მშვენიერი, ჟუჟუნა წვიმები დაიწყო, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა. წვიმებმა საამურად გამოაცოცხლა დედა მიწა, ასე რომ, თუ ღმერთმაც და ღრუბელი დაგვიმშვიდა, წელს აქეთ ყველაფრის უხვი მოსავალი იქმნება. სიმინდის ხვნა-თესვა ჯერ არ გაუთავებიათ.

** სოფ ნებოთი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ამას წინად, ერთ მშვენიერს დღეს, შუადღისას, ხალხი ჩვეულებისამებრ ნიხასში (სადაც ხალხი იყრის თავს სალაყბოდ) ისხდა და ლაყბობდნენ. აქვე ისხდნენ ორი ერთ ერთის დიდი მოსიყვარულე ძმად გაფიცულნი, ცოტათი არყით მეზარხოშებულნი ბელათონოვი და გაზოევი და ხუმრობდნენ. ბელათონოვმა გაზოევს ხუმრობით ფეხზედ ჯოხი შემოჰკრა; გაზოევმა ჯოხი გამოჰგლიჯა ბელათონოვს და დაამტვრია. ამნაირად ძმად შეფიცულნი სულ უბრალო რამეზედ შეკინკლავდნენ, შემდეგ ორთავემ იძრეს ხანჯლები და მიესივნენ ერთმანერთს. პირველად ბელათონოვმა დაჰკრა გაზოევს მარცხენა მხარში ხანჯალი და მხარი ჩამოაგდებინა. გაზოევმა რომ შეატყო თავს მძიმედ დაიჭრილიო, ამანაც მარჯვენა ხელით ხანჯალი ზევიდგან კი აღარ დაჰკრა, ორჯერ მუცელში წასტაკა საბრალო ბელათონოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ეხლა მოკინკლავეთ თავ-თავისი ძმები წამოეშველნენ და ბელათონოვის ძმამ გაზოევი მეორე მხარში დასჭრა, ხოლო მეორე მისი ძმა მსუბუქად მუცელში. მძიმედ დაჭრილი გაზოევიც სასიკვდილოდ გადადებულია და მისი ნათესავები ღმერთს ეხვეწებიან ჩქარა მოკვდესო, რომ ამითი მათს გვარში სისხლის ძიება მოისპოს.

** როგორც საბუნჩის სადგურიდგან გვატყობინებენ, 10 მაისს, ბარგის დამტარებელი სპარსეთის ქვეშევრდომი ბადალ ყარიბოვი მატარებელზედ ახტომის დროს გადმოვარდნილა და მატარებელს სასიკვდილოდ გაუჭყლეტია.

** დღეს, 13 მაისს, სამების ეკკლესიაში იგალობებს ქართველ მგალობელთა გუნდი ი. კარგარეთლის ლოტბარობით

## კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება

ხუთშაბათს, 11 მაისს, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის უ.ანათ. თავ. პ. [illegible] თავმჯდომარეობით შესდგა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. პირველად კრებას წარედგინა განსახილველად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებასთან განზრახულ სასტატისტიკო ბიუროში დაინიშნოს სათავად-აზნაურო ბანკიდგან ორი წარმომადგენელი და ამასთანავე მოსაზრება იმის შე'ახებ, რომ შეტანილ იქმნას ბიუროს წესდებაში ახალი მუხლი, რომლის ძალითაც სასტატისტიკო ბიურო თვის სამოქმედო ასპარეზად ჯერ ჯერობით ხელმოკლეობის გამო მხოლოდ ტფილისის გუბერნიას გაიხდ ს. ესეთი პაირობა ბანკის გამგეობისაგან გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბანკმა ბიუროს აღუთქვა ყოველ წლობით 1000 მან. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, განუხილავს რა ეს საკითხი, შესაძლებლად უცვნია ბანკის გამგეობის, წინადადების შეწყნარება. საბჭოს ამ დადგენილებამ კამათი გამოიწვია დამსწრე წევრთა შორის. უმრავლესობა სიამოვნებით სთანხმდებოდა საბჭოს დადგენილებას, მით უმეტეს, რომ ბიუროს მეტი შეძლება არა აქვს და აღნიშნული ფული ტფილისის გუბერნიისათვის თუ იკმარებსო. უმეტესობა იმას ამბობდა, რომ უხერხული იქმნება მგ დახმარებისათვის ბანკის გამგეობის წინადადებას დავექვემდებაროთ და ბიუროს მოქმედება მარტო ტფილისის გუბერნიით შემოვფარგლოთო. ყოველ მხრივ და დაწვრილებით რომ სასტასტისტიკო ცნობების შეკრებას შეუდგეს ბიურო, ეგ ფული (1000 მ) ერთის მაზრის გამოსაკვლევადაც არ ეყოფა, არამც თუ მთელ გუბერნიისას; ამიტომ საჭიროა ისე მოვახერხოთ, რომ ბანკის მიერ გადადებული ფული მთელს კავკასიას მოვანდომოთო. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ 9 ხმით სამის ხმის წინააღმდეგ დაადგინა მიღებულ იქმნეს სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის წინადება. საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა სხვა დროისათვის გადაიდვა, რადგანაც

---

თავ-თავისის სახით წინ დაგვიდგა. ეტყობოდა, რომ ავტორს სამხატვრო საგანი შეესისხლხორცებია და ძალდაუტანებლად, დიდხანს ეტარებია გულით, ისე როგორც დედას მუცლით შვილი, და მერე წამოეშობა დროზედ კანონიერად. თუ გახსოვს, კიდევაც გირჩიე მაშინ: ეს პირველი ნაწილი თავისთავად დამთავრებული რამ არის და ზედ ნუღარას გადაბამ-მეთქი! არ დამიჯერე და მიაკერე მეორე ნაწილიც „ჩემის ცხოვრებიდან“ დასებური „პროტოკოლები“ და მით ჩააშხამე პირველი ნაწილის სიტკბოება!.. სალხინო მაყრულს სამგლოვიარო ზარი მიაყოლე!.. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ის მეორე ნაწილი არ ვარგია-მეთქი! არა, ცალკე, თავის თავად ისიც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ აქ კი უადგილოდ გამოდგა. ზარსაცა და მაყრულსაც თავ-თავისი დრო და ადგილი აქვს. პირველს — ჭირში, ტირილის დროს და მეორეს კი ლხინში, ქორწილზედ. ეს უადგილობა არ მეჰაშნიკა და როცა შემდეგში მას თან მოჰყვნენ შემონაკვეთი და ნაფაცა-ფუცებად გამონასხარტი, შენი საკვირაო ფელეტონები, მაშინ-კი სრულიად გადავწყვიტე იმედი. მაგრამ დაილოცოს ძალთა-ძალი!..

აღდგომის კვირაში მეგაზეთე შემოვიდა ჩემთან, ჩვეულებისამებრ მიმახარობლა „ქ-ე აღსდგა!“ და მომაწოდა „ცნობის ფურცელი“. ჩამოვართვი და გავშალე. „უკვდავების წყარო ვარ“-ს მოვკარი თვალი და შეუდექი კითხვას. გამიტაცა. თედო რაზიკაშვილისა და ან ვაჟას დაწერილი მეგონა, რადგანაც ისინი საქართველოს ბუნებასთან, როგორც მთიულები თან შენაზარდნი არიან. თანდათან უფრო და უფრო მატკბობდა მოთხრობა და ბოლოს რომ დავხედე, მაშინ-კი გამიორკეცდა სიხარული, აქ შენი სახელი და გვარი იყო მოწერილი, და უნებურად წამოვიძახე: „ჭეშმარიტად აღსდგა“-მეთქი. ნუ დამძრახავ, კაცი ვარ სუსტი და თავმოყვარეობა მომეცა, რომ ჩემი წინანდელი იმედები შენ შესახებ არ გამიმტყუნდა. ეს პატარა თხზულება სწორედ ძვირფას მარგალიტის მანიაკად დარჩება ჩვენს მწერლობაში და მეც, ამის მკითხველს, მეგრული ღიღინი მადგება ენაზედ:

„ყელსაბმელო მარგალიტო,
ნეტავ მარად ჩემთან იყო!
ნამეტანის სიყვარულით
მეშინიან არ ჩაგკვნიტო!“

კარგი რამეა კარგი!.. მხოლოდ ერთი, ბეწვის ოდენა, პატარა რამ ფურჩი კი შეპარვია და ის უნდა გაიწმინდოს, ჩემის აზრით: წყარო რომ ამბობს: ბერძნები ტყუილად-კი არ მაღმერთებდნენო, ის, ცოტა არ იყოს, წაკუდაბზიკაობა არის! სად ჩვენებური წყარო და სად ბერძნების მითოლოგია... უკეთესი არ იქნებოდა და უფრო ნამდვილიც, ეთქვა: „ტყუილად-კი არ შემომტრფის და შემომხარის ქართველიო“ და ან სხვა რამე ამგვარი, ადგილობრივი და არა უადგილოდ შორისად ხელწანაპოტინები. რასაკვირველია, ეს არც-კი დიდად შესანიშნავად, მაგრამ, ხომ გაგიგონია მოტრფიალეს ქინი: „ჩემს სატრფოს მუქლიც ნუ დააჯდებაო!“ ახლა-კი ვხედავ, რომ შენს ნიჭს შესაფერი გზა აურჩევია და თუ აღარ გადაუხვევ, შენ იცი! თვითოეულ ერს თავისი საკუთარი ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა; შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალ-ფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე და ველით და სხვანი. ქართველის გრძნობაგონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლოდ, ზომიერად; აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად-კი მომავლისკენ მიიწევდეს. თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლანდი. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც ასეა და მიუხედავად ამისა, რომ ნიჭიერები არ გვაკლიან, ჩვენი ლიტერატურა გადასხვარჯულებული და გახუნებულია. ლიტერატურას თავისი მშობლიური სარჩულ-საპირე ეჭირვება და რაც გვაკლია, და საჭირო-კი არის, მისი გადმომყვანა და გადმონერგვა აუცილებელია, მაგრამ ამ შრომასაც თავისი შესაფერი წესრიგი და კანონი აქვს: ჯერ ნიადაგი უნდა მოვუმზადოთ, თორემ უამისოდ ნერგი ვერ იხარებს. და ნიადაგი-კი მზადდება საზოგადოდ მხოლოდ იმ გვარ ნაწარმოებით, რომელნიც ჩვენის ქვეყნის სხვა და-სხვა კუთხეებს გვიხატავს და მათთან სულიერად გვაკავშირებს. ეს არის პირველი საფუძური ლიტერატურისა. ჯერ ეს უნდა გამაგრდეს, გამტკიცდეს და მერე თან სხვაც მიჰყვება. თანდათანობას და ზედი-ზედობას ვინც გაურბის, იმას ნახტომი ეშლება. „უკვდავების წყარო ვარ“ სწორედ სანიმუშოა ამ შემთხვევაში და როცა ჩვენი ახალგაზდა მწერლები ამავე გზას დაადგებიან, მაშინ მეც სიამით ვიტყვი: „აწ განმიტევე“-მეთქი და მანამდე კი მეც ისე უნდა ვიგალობო, როგორც ანჩისხატის დეკანოზი გალობდა, როცა უცხო მკვდარს წინ წაუძღოდა: „არ ვიცი ჩვენიაო, არ ვიცი სხვისიაო, ღმერთმა იცის თუ ვისიაო“.

აკაკი

ზოგიერთი ცნობები არ იყო შიგ მოქცეული. დასასრულ კრებამ ამოირჩია „სამეურნეო გაზეთის“ სარედაქციო კომისია. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი საკოვი, დონდუროვი, ქანანოვი, ალიბეგოვი და როტინიანცი.

## სამრევლო საეკლესიო და საერო-სამინისტრო სკოლები ჩვენში.

საზოგადოებაში ხშირად შეჰხვდებით, რომ დავობენ ხოლმე: „არა სამრევლო სკოლა სჯობია და არა სამინისტროო“. ამ სკოლებიდგან პირველი სასულიერო უწყებას ეკუთვნის, მეორე საერო განათლების სამინისტროს. ერთსაც და მეორესაც მიზნათ ისა აქვთ, რომ ხალხში სწავლა-განათლება გაავრცელონ, ხოლო განსაკუთრებით სამრევლო საეკლესიო სკოლის მიზანია განათლებასთან ერთად განამტკიცოს ხალხში სწავლა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა და ქრისტიანულ კეთილ-მსახურებისა, ზნეობრივად განასპეტაკოს და ახალგაზრდობა განუმტრებლად წმიდა მართლ-მადიდებელ ეკლესიას შეუკავშიროს. ამ რიგად ამ ორისავე ტიპის სკოლას მეტად მაღალი და სასარგებლო მიზანი აქვს ხალხის საკეთილდღეოთ, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ რომ თავის დანიშნულებას მტკიცედ ასრულებენ. ეხლა მათს დღევანდელს მდგომარეობაზედ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვასა.

სამრევლო-საეკლესიო სკოლები საერო სკოლებთან შედარებით ბევრად ნორჩნი არიან. (რასაკვირველია, ჩვენ არა გვაქვს სახეში ის საეკლესიო სკოლები, რომლებიც წარსულს საუკუნოებში ეკლესიებთანა და მონასტრებთან იყვნენ გახსნილნი).

საერო-სახალხო სკოლები ჩვენში 1871 წლიდგან დაარსდნენ და სამრევლო საეკლესიო სკოლები-კი 1884 წ., ე. ი. საერო-სამინისტრო სკოლები 30—31 წლისა არიან, ხოლო სამრევლო 16—17 წლისა; ამიტომაც საერო განათლების სამინისტრო სკოლები ჯერ ჯერობით უფრო უზრუნველ ყოფილნი არიან, ვიდრე სამრევლო სკოლები და ასეც უნდა იყოს. ამიტომაც ამა უზრუნველ-ყოფილს სკოლებში უფრო კარგი და მომზადებული მასწავლებლები მიდიან, სპეციალურად საპედაგოგო მოღვაწეობისათვის სამასწავლებლო სემინარიებში მომზადებულნი, ვიდრე სამრევლო საეკლესიო სკოლებში. ზოგან სამინისტრო ორ-კლასიან, ეგრედ წოდებულ ნორმალურს სკოლებში, სამასწავლებლო ინსტიტუტიდგანაც კი არიან მასწავლებლად; ამისათვის საერო განათლების სამინისტრო სკოლები რომ უფრო კარგს ნიადაგზედ იყვნენ დაყენებულნი, მაინც გასაკვირალი არ არის, რადგანაც ნივთიერი მდგომარეობა თუ მასწავლებელთა მომზადება, ყოველივე ხელს უწყობთ.

სამრევლო-საეკლესიო სკოლები კი ჯერ კიდევ უზრუნველ-ყოფილნი არ არის, თუმცა ამ ბოლოს დროს შესამჩნევად წინ მიდიან და თან-და თან უმჯობესდებიან. ამიტომაც რიგიანი და საქმის მცოდნე მასწავლებლები იმ სამრევლო-საეკლესიო სკოლებში არასოდეს არ მიდიან, სადაც ჯამაგირი რიგიანი არა აქვთ, ნივთიერად სანახევროდ მაინც უზრუნველ ყოფილნი არ არიან.

სამრევლო საეკლესიო სკოლებში უმეტეს ნაწილად მასწავლებლობენ სწავლა-დაუმთავრებელნი და ეგზამენებით უფლება-მოპოებულნი, მაგრამ უკიდურესს შემთხვევაში მასწავლებლობას ასრულებენ აგრეთვე უფლება-მოუპოვებელი მედავითნეებიც, რომელთაც ეს მეორე თანამდებობა, ეჭვი არ არის, პირველის შეძლებისამებრ პირ-ნათლად შესრულებაში ხელს დიდად უშლის. ზოგან კი სასულიერო სემინარიებში კურს დამთავრებულნიც მიდიან მასწავლებლებათ; მაგრამ დასაწყისს სკოლებში გული არ უდგებათ, რადგანაც უკეთესსა და თბილს სამსახურს მოელიან და დიდხანს არა რჩებიან. ამ მიზეზებისა გამო სასულიერო მთავრობა არავითარს საშუალებას არა ზოგავს, სკოლებს შესამჩნევად აუმჯობესებს, ნივთიერად ეხმარება, უზრუნველ ჰყოფს; ამას გარდა, როგორც უკვე ჟურნალ-გაზეთებმა გვაუწყეს, სასულიერო მთავრობას განზრახვა თურმე აქვს სასულიერო სამასწავლებლო სემინარია და ინსტიტუტები დააარსოს, საიდგანაც სამრევლო საეკლესიო სკოლები სათვის სპეციალისტი მასწავლებლები გამოვლენ. ეს ორი გარემოება-კი ცხადია სამრევლო სკოლებს კარგს ნიადაგზედ დააყენებს, მათს მომავალს განვითარებას ნორმალურს წრეში ჩააყენებს და შესამჩნევად ააყვავებს, განაკარგებს, რადგანაც უზრუნველ-ყოფილს სამრევლო საეკლესიო სკოლებში მაშინ მასწავლებლებათ მხოლოდ ისინი წავლენ, რომელნიც საპედაგოგო მოღვაწეობისათვის სპეციალურად მომზადებულნი იქნებიან. ღმერთმა ინებოს ეს ჩვენი იმედები და მოლოდინი ხალხის სწავლა განათლების საკეთილდღეოდ მალე განხორციელებულიყოს, რადგანაც დღეს დღეობით ეს დამაბრკოლებელი მიზეზები საქმეს ძლიერ აბრკოლებენ.

ბ. ვაშაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კარგა ხანია მთავრობა და ჟურნალ-გაზეთები ლაპარაკობენ ჩრდილოეთ კავკასიიდგან ამიერ-კავკასიამდე პირდაპირ ს (მთებზედ) რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ აზრით კავკასიის მთებისა და ხეობების გამოკვლევას ჯერ ისევ 1873 წლიდგან შეუდგნენ. მას აქეთ არა ერთი და ორი პროექტი შეუდგენიათ რკინის გზისა, რომელმაც კავკასიის მთავარი ქედი უნდა გადასჭრას. ყველაზედ მეტი ყურადღება ორმა პროექტმა მიიქცია: ერთის პროექტით მამავალმა რკინის გზამ კვინამატის გადასავალზედ უნდა გაიაროს, მეორეთი—როკის გადასავალზედ. ამ ბოლოს დროს მესამე პროექტიც წამოაყენეს. რკინის გზამ ამ პროექტით შავის ზღვის პირას უნდა ჩამოიაროს და შეაერთოს ამიერ-კავკასიისა და როსტოვ-კავკავის გზები. თუმცა უკვე გაყვანილ იქმნა პეტროვსკის რკინის გზა, რომელმაც ჩრდილოეთი კავკასია სამხრეთ კავკასიასთან შეაერთა, მაგრამ პირდაპირის რკინის გზის გაყვანას კავკასიის მთავარ ქედზედ მაინც საჭიროდა სცნობენ და დღესაც ამ საგნის თაობაზედ ბევრსა სწერენ. როგორც „С. Петерб. Вѣд.“ ი გვაცნობებს, ამას წინად, მაგალითად, საყურადღებო წიგნი გამოუცია ლეიტენანტს ფილკოვიჩს. ფილკოვიჩი დიდად საჭიროდა სცნობს რკინის გზის გაყვანას ამიერ-კავკასიიდგან ჩრდილოეთ კავკასიამდე, ამასთან უპირატესობას იმ გზას აძლევს, რომელმაც როკის გადასავალზედ უნდა განვლოს.

ეს გზა ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყობა კავკავის გზის დარ-კოხის სადგურიდგან, ამოივლის არდონის ხეობას, შემდეგ ძრამაგის ხეობით როკის გადასავალთან მივა, სადაც ტუნნელი იქმნება გამართული. მერე ჯავაზედ ლიახვის ხეობით დაეშვება და გორში ჩამოვა. სულ სიგრძე ამ გზას 184 ვერსი ექმნება, დაჯდება იგი, თუ ორი ლიანდაგი იქმნება გაყვანილი, მხოლოდ 25,454 402 მანეთი. ფილკოვიჩის გამოანგარიშებით, ამ გზას მეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექმნება როგორც მთლად რუსეთისა, ისე კერძოდ კავკასიისთვის. იმის გარდა, რომ ეს გზა რუსეთს ამიერ-კავკასიას დაუახლოვებს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიას—ბათუმსა და ფოთის ნავთ-სადგურებს, იგი მადნებით მდიდარსა და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებზედ გაივლის. ფილკოვიჩის გამოანგარიშებით, შემოსავალი არამც თუ დაჰფარავს ხარჯს, მოგებასაც მისცემს იმას, ვინც რკინის გზას გაიყვანს. მით უფრო ადვილი იქმნება გზის გაყვანა, რომ ნაწილი ამ გზისა, სადონიდგან დარ-კოხამდე სულ 65 ვერსი, ალაგირის საზოგადოებამ უნდა გაიყვანოს.

გზის გაყვანას ჰკისრულობს თურმე საზღვარ-გარეთელ ბანკირთა სინდიკატი. თუ ნება დაერთო, სინდიკატს აზრადა აქვს დახელოვნებული და გამოცდილი ინჟინერები მოიწვიოს, რომელთაც ესპანიისა და მცირე აზიის მთიან ადგილებში უმუშავნიათ და გაუყვანიათ რკინის გზები.

* * *

დღეს რუსეთში არა ერთი და ორი გაზეთი მოიპოვება, რომელიც გლეხთა გალარიბებას და ქონებრივ დაქვეითებას ბატონ-ყმობის გადავარდნასა, ერობის შემოღებას და სხვა რეფორმებს აბრალებს. ამ გაზეთებს კარგ პასუხს აძლევს „Недѣля“, რომელიც ამბობს, რომ გლეხობის გალარიბება ბატონ-ყმობის მოსპობის ბრალი კი არა, იმ უკანონობისა და უწესოების ბრალია, რომელიც რეფორმის განხორციელების დროს მოხდა.

„როგორც ვუწყით,—სწერს გაზეთი, რეფორმის დროს გლეხებისთვის ნადელად უნდა მიეცათ მთლად ის მიწა, რომელიც მათ 1861 წლის 19 თებერვლამდე ჰქონდათ. მაგრამ შესაძლებელი გაჰხადეს ამ საზოგადო წესის დარღვევა ზოგიერთ შემთხვევაში. თუ წინანდელი ნადელი აღემატებოდა უმაღლეს ნადელს, ამა თუ იმ ადგილისათვის დაწესებულს, მაშინ მებატონეს შეეძლო მეტი მიწა თავისთვის მიეზომა, ან მორიგებით გლეხებისთვისვე დაეტოვებინა. თუ წინანდელი ნადელი მცირე ნადელზედ უფრო კიდევ მცირე იყო, მებატონეს უფლება ჰქონდა ან მიეზომა დაკლებული ადგილი, ან კიდევ გადასახადი დაეკლო. თუ მებატონეს, რომელიც გლეხებს ნადელს მიუზომავდა, თვით რჩებოდა თავის მამულების ერთ მესამედზედ ნაკლები, მაშინ მას შეეძლო გლეხებისთვის გამოერთვა დაკლებული მიწა ისე კი, რომ ნადელი გლეხებისა ძალიან არ დაეცოტავებინა. ამ წესების წყალობით, რომელიც მებატონისათვის უფრო მოწყალე და სასარგებლო იყო, ვიდრე გლეხისათვის, ამ უკანასკნელთა მამული მეტად შემცირდა. რეფორმამდე კოსტრომის გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით სანადელო მიწა ერთ სულ გლეხზედ მოდიოდა 6,8 დეს., რეფორმის შემდეგ—4,9 დეს., პსკოვის გუბერნიაში რეფორმამდე—5,5 დეს., შემდეგ—4,8 დეს., ტამბოვის გუბ. წინად—3,1 დეს., შემდეგ—2,5 დეს., სარატოვის გუბ. წინად—3,8 დეს., შემდეგ—2,8 დეს., იაროსლავის გუბ. წინად—5,2 დეს., შემდეგ—3,8 დეს“.

ყველა ამას გარდა ბატონ-ყმობამდე გლეხები მებატონის ტყითა და საძოვრით სარგებლობდნენ, შემდეგ-კი ყველა ეს მოისპოთ.

## რუსეთი

როგორც ვუწყით, პეტერბურგის ქალაქის უფროსის განკარგულებით დახურულ იქმნა რუს მწერალთა ურთ-ერთ დამხმარებელი კავშირი. ამ კავშირის კომიტეტის წევრებს, როგორც „Русс. Вѣд.“ გვამცნობს, გადაუწყვეტიათ სენატში გაასაჩივრონ ქალაქის უფროსის ასეთი განკარგულება.

— 6 მაისს პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტებს ეროდობა ჰქონიათ, რომელზედაც ხმის უმეტესობით დაუდგენიათ დაუყოვნებლივ განაახლონ მეცადინეობა და შეუდგნენ ეგზამენებს. პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენები წესიერად მიდის თურმე. იმ სტუდენტებს, რომელთაც რამე მიზეზისა გამო ამ გაზაფხულზედ არ შეუძლიათ ეგზამენების დაჭერა, ნება დაერთოთ შემოდგომაზედ დაიჭირონ.

— პეტერბურგში არსებობს ქალთა პატრიოტული საზოგადოება. როგორც ამას წინად გამოურკვევიათ, ამ საზოგადოების კასსიდგან 300,000 მანეთი გაუფლანგიათ.

— ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გამოცემულ იქმნას ისეთი სავალდებულო დადგენილებანი, რომელთა ძალითაც ქარხნის პატრონივალდებული იქმნება იზრუნოს მუშათა ჯანმრთელობისათვის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს მოაწყოს საქველ მოქმედო ლატარიების გამართვის საქმე. უკვე შესდგომიან პროექტების განხილვას. პროექტით საქველ-მოქმედო საზოგადოებებს შეეძლებათ ლატარიების გამართვა, მხოლოდ ნება არ ექმნებათ ლატარიის გამართვის უფლება კერძო კაცებს გადასცენ.

— მოსკოვში პოლიციას დაუპატიმრებია ის უცნაური ვაჟბატონი, რომელიც ახალგაზრდა მოსწავლე ქალებს ქუჩაში მოსვენებას არ აძლევდა და სადგისის მაგვარ რაღაც იარაღით სჩხვლეტავდა. ამ ვაჟბატონმა, გვარად ჟურავლევმა, ბოლოს ისე შეაშინა ქალები, რომ ქუჩაში გავლას ვეღარც კი ჰბედავდნენ. ჟურავლევი 30 წლის კაცია თურმე, იგი საავთვიაქო მაღაზიაში მოსამსახურედ ყოფილა. როგორც გაზეთები გვამცნობენ, ჟურავლევი სულით ავადმყოფი ყოფილა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის მხედრობის რეორგანიზაციის შესახებ ბროდრიკის მიერ საზოგადოებათა პალატაში წარდგენილ პროექტის კენჭის ყრით მიღებამდე ბალფურმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოკლედ გაიხსენა რაც-კი ამას გამათი მოჰყვა და პალატას კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადება მოსთხოვა.

„მთავრობის პროექტს მხედრობის რეორგანიზაციის შესახებ სხვა-და-სხვა მხრიდგან განუცხადეს წინააღმდეგობა, მაგრამ ყველა ესენი ერთი-მეორის წინააღმდეგნი იყვნენ. ჯარში ხალხის გაწვევის გაჭირვება, რომელიც მხედრობის გაძლიერების მოწინააღმდეგეთ დასახელდეს, არ ახალია, ძველადაც [illegible] მთავრობის პროექტის მიერ [illegible] გებ შექმნილი. პირ-იქით, მთავრობის პროექტი ამ გაჭირვებას უფრო აადვილებს, ასუმბუქებს. რაც შეეხება აგრეთვე იმ თეორიის მოტრფიალეთა წინააღმდეგობას, რომელთაც სჯერათ, რომ ინგლისის ძლიერებას სავსებით ფლოტი შეადგენს, ამათაც, ეჭვი არ არის, საზოგადოებათა პალატის უმეტესობა არ დაეთანხმება. სამხედრო ექსპედიციებიდგან ყველაზედ სახიფათო და საშიში ინგლისისათვის ის იქმნებოდა, რომ მოხდებოდეს და ევროპის ჯარები ჩვენს კუნძულზედ გადმოვიდოდნენ. თუ რომ შევიძლებთ და დავამტკიცებთ, რომ ევროპის ჯარების ჩვენს კუნძულზედ გადმოსხმა აგრე ადვილი არ არის, რასაკვირველია, მაშინ მშვიდობიანობას აგრე ადვილად არა შეარყევს რა. დასასრულ, შევნიშნავ, რომ სამხედრო კანონ-პროექტის უარ-ყოფა იქნებოდა უარ ყოფა თვით მთავრობისა და ბრიტანიის მხედრობის მთავარ-სარდლისა, იქმნებოდა მხოლოდ დაუძლურება პალატისა, ვინაიდგან სამხედრო პროექტის წინააღმდეგ გამოლაშქრებულთა კავშირი შეიცავს ელემენტებს, რომლებსაც ერთ-ურთთ შორის არავითარი დამოკიდებულება და კავშირი არა აქვთ. ამისათვის პროექტის უარყოფა იქმნებოდა მხოლოდ დანაშაულობა მომავალის წინააღმდეგ“.

საზოგადოებათა პალატამ ბროდრიკის პროექტი 305 ხმის უმეტესობით მიიღო წინააღმდეგ 163-ისა, რითაც მოლოდინი ბევრის ინგლისურ ჟურნალ-გაზეთისა პალატამ სრულიად გააცრუა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მაისი

**პეტერბურგი.** 10 მაისს, პეტერგოფში, უმაღლესის თანადასწრებით, მოხდა საეკლესიო პარადი დედოფალ იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის ცხენოსან გრენადერთა და ულანთა რაზმებისა.

**ბერლინი.** ვოლდერზეე დეპეშით იუწყება პეკინიდგან: „ვანის ჩრდილოეთ დასავლეთით ახალი შეტაკება მოხდა „დიდ მუშტის“ მომხრეებთან, რომელნიც წინად დამარცხებულ იქმნენ. ჩინელებს 110 კაცი ჰყავთ მოკლული; ჩვენ—ორი დაჭრილი“.

**მადრიდი.** ჯერ კიდევ არ შევსებულ ოფიციალურ ცნობებით, არჩევანების დროს ლიბერალებმა მიიღეს 244 ადგილი, კონსერვატორებმა—81, ტეტუანის მომხრეებმა—12, რესპუბლიკელებმა 16, გამაზის მომხრეებმა—13, რომერისტებმა—14, სხვა დასებმა—22.

**კონსტანტინოპოლი.** რადგანაც საკეთილოდ გადასწყდა სხვა-და-სხვა საქმე, რომელსაც კავშირი ჰქონდა ფოსტის გამო ჩამოვარდნილ უთანხმოებასთან, თვით ეს უთანხმოებაც თავიდგან აცილებულად უნდა ჩაითვალოს. უცხო ქვეყნების ფოსტამტები 10 მაისიდგან შეუდგნენ წესიერ მუშაობას.

**კაპშტადტი.** როგორც ყოველის მხრიდგან მოსულ ცნობებით მტკიცდება, კაპის ახალშენისა და ორანჟეს რესპუბლიკის მეამბოხე რაზმებს მოწერილობა მიუღიათ ერთად შეიკრიბნენ. სამხედრო მოხელენი ჰფიქრობენ, რომ შეერთებულ რაზმების

უფროსობას დევეტი იკისრებს, თუმცა ჯერჯერობით არაფერი ისმის დევეტის კაპის ახალშენში მოსვლის შესახებ.

**პორტ ელისაბედი.** აქ ორი კაცი გახდა ავად შავის ჭირით.

**იოჰანესბურგი.** ტრანს. რესპუბ. პრეზიდენტად ნამყოფი პრეტორიუსი 6 მაისს პოტჩეფსტრომში გარდაიცვალა ორის დღის ავადმყოფობის შემდეგ. 1000 მცხოვრებზედ მეტი დაესწრო იმის დასაფლავებას.

**პარიჟი.** რუსეთის სესხზედ ხელს ძალიან ბევრნი აწერენ.

**რომი.** მეფე ჰუმბერტოს მკვლელმა, ბრეშიმ, საპყრობილეში თავი მოიკლა. ბრეშიმ შარვლის ზონარით ჩამოირჩო თავი.

**ვენა.** უნგრელთა დელეგაციის წინაშე გრაფმა გოლუხოვსკიმ შემდეგი განაცხადა კიდევ: თუმცა არა ერთხელ იჩინა თავი საშიშო მოვლენამ, მაგრამ საქმის მშვიდობიანი მსვლელობა მაინც უზრუნველ ყოფილ იქმნა. ეხლა, მახლობელს აღმოსავლეთში საქმეთა ვითარების გამო, ძნელია წინდაწინვე გამორკვევა იმისა, თუ რამდენად უქადის ეს ვითარება მერმისში მშვიდობიანობას, რადგანაც ავსტრო უნგრეთსა და რუსეთს შორის არსებულ შეთანხმებასაც-კი ყოველთვის არ შეუძლიან წარმატებით მოქმედება იქ. თუმცა შეთანხმება, რომელიც მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება, მეტად დიდ სიკეთედ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ შეთანხმების მალამოდ დასახვა ყოველგვარ უცაბედ მოვლენის წინააღმდეგ, ცარიელი სიტყვები იქმნებაო. „1897 წლის შეთანხმება მეტად ძვირფასი გარანტია, მაგრამ ის აზრი, რომ მას ყოველგვარ უთანხმოების თავიდგან აცილება შეუძლიანო, სირაქლემის პოლიტიკის მაგვარ გზაზედ დადგომასა ჰნიშნავს. ზოგიერთი უსიამოვნო მოვლენა განსაკუთრებულ სიფხიზლეს თხოულობს, რათა ერთ მშვენიერ დღეს იმ მდგომარეობაში არ ჩავცვივდეთ, რომლის შეწყნარებაც შეუძლებელი იქმნება. ავსტრო-უნგრეთი არა სცდილობს, რასაკვირველია, თავისს მიწა-ადგილის გადიდებას სხვათა ხარჯით. წინააღმდეგ აზრის გამავრცელებელნი აგიტატორნი სცდილობენ მხოლოდ იმას, რომ საზოგადოების აზრი აამხედრონ ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ. ბოლკანეთის საქმეებს ეკუთვნის ამ ჟამად მაკედონიის საქმე და იმასთან შეკავშირებული ბოლგართა აგიტაცია. სახელმწიფოებმა საკმარისად გააფრთხილეს ბოლგარიის მთავრობა და არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ამ მთავრობას, რომ იმის ყურის მოყრუება აგიტაციის საქმეში რამოდენადმე დამნაშავეა დღევანდელ საქმის ვითარებისა. ამის და მიუხედავად, ბოლოს დროს ბოლგარიამ, უსმინა რა სახელმწიფოთა ჩარევას, მიიღო ისეთი ღონისძიებანი, რომელიც ჰმოწმობს იმის საქებურ განზრახვას—ლაგამი ამოსდოს კომიტეტის მოქმედებას, იმ კომიტეტისა, რომელიც სახელმწიფოში ფორმალურ სახელმწიფოდ გარდაიქცა. მეტად სასურველია, რომ ბოლგარიის მთავრობის პატიოსან ყოფაქცევას მაკედონიის ვილაეტის ადმინისტრატიულად მოწყობაც ზედ დაერთოს, რადგანაც ოლქის დასაწყნარებლად საკმაო არ არის ოსმალეთის მიერ მიღებული ძალდატანებითი ღონისძიებანი. სამწუხაროდ, საქმის ვითარება მაკედონიაში ბევრ რასმეს თხოულობს ჯერ კიდევ“.— „სერბიაში,—განაგრძო მინისტრმა, ახალ კონსტიტუციისაგან მოელიან საპოლიტიკო მდგომარეობის განმტკიცებას და სცდილობენ ყოველი საშუალება მოიხმარონ სახელმწიფო წესრიგის მოსაგვარებლად; ავსტრო-უნგრეთს შეუძლიან მხოლოდ წარმატება უსურვოს და იმედი იქონიოს, რომ სერბია მოერიდება ყველა იმას, რაც შესაძლებელ ჰყოფს ავსტრო-უგრეთთან კეთილ განწყობილების დარღვევას“.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაცია. საგარეო საქმეთა კომისიაში გოლუხოვსკიმ განაცხადა, რომ ოსმალეთის სათოფსტო საქმე ეხლა შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოსო. რაც შეეხება რუსეთთან შეთანხმებას, მინისტრმა სთქვა, რომ პეტერბურგში სამის წლის წინად მოხდა დაწვრილებით განმარტება, ამასთან გამოირკვა, რომ რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს შორის არავითარი ისეთი უთანხმოება არ არის, რომლის მორიგებაც ორსავე მხარის სასარგებლოდ, თუ-კი კეთილი სურვილი იქმნება, შეუძლებელი იყოს. ორივე სახელმწიფო იმასა სცდილობს, რომ ბოლკანეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა დაიცვან და თვით იმათვე მიანდონ შინაურ საქმეების მოწყობა. ძალიან მაკვირვებს დელეგატის არკოვსკის სიტყვები, სთქვა შემდეგ მინისტრმა, რომელიც ჩემ სიტყვაში მოელოდა საფრანგეთსა და იტალიის შორის ტულონში მომხდარ ამბის ხსენებას. ავსტრო-უნგრეთის მინისტრის საპოლიტიკო სიტყვის საგანს არ უნდა შეადგენდეს ამგვარი ამბავიო. მინისტრმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ სამთა-კავშირი მიმაჩნია ჩემ პოლიტიკის დაურღვეველ საფუძვლად, რომლის დამატებასაც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შეადგენდეს სრული თანხმობა კავშირის წევრთა სხვა სახელმწიფოებთან. მაგალითად, ეს რამდენიმე ხანია ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთს შორის მეგობრული განწყობილება სუფევს. თუ ასევე იტალიასა და საფრანგეთს შორის მოხდება, არამც თუ ამას საშიშრად არ მივიჩნევ, პირ-იქით, დასამშვიდებელ საშუალებადაც ჩავთვლიო. როდესაც ჰკითხეს—შეუძლიან თუ არა მინისტრს ისევე დაენდოს სერბიას ეხლა, როგორც $1^1/_2$ წლის წინად, გოლუხოვსკიმ მიუგო, რომ კარგად ვერ გამოვირკვევია თქვენი კითხვაო. „კარგი განწყობილება ჩვენსა და სერბიის შორის,—სთქვა მინისტრმა,—მაშინაც იყო და ეხლაც არის, ხოლო რადგანაც ჩვენ ვცდილობთ არავითარი ცვლილება არ მოხდეს ამ საქმეში, საფიქრებელია, რომ მერმისში ეს დამოკიდებულება დაცული იქმნება თვით სერბიის ინტერესებისათვისვე, მაგრამ ვერც ერთი მინისტრი წინდაწინვე ვერ უზრუნველ ჰყოფს სხვა სახელმწიფოთა ყოფა ქცევას. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით დავიცვათ კეთილი განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ უკან-კი არასდროს არ გამოვეკიდებითო“ *).

*) ზემოდ მოყვანილმა დეპეშებმა დაიგვიანა, რადგანაც ტელეგრაფი გაფუჭებული იყო.

**პეტერბურგი.** „კანონდ. კრებულში“ გამოქვეყნებულია სახელმწიფო საბჭოს ახალ დაწესებულების შესახებ.

**პერმი.** 7 მაისს ცეცხლმა სრულიად გაანადგურა სოფელი ნოევკა, ამასთან დაიწვა 500 სახლი, პური და საქონელი; ვერაფერი ვერ გადაარჩინეს. სდგება კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად.

**ფილიპოპოლი.** როგორც კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, პარიჟში მყოფ ოსმალეთის საელჩოს მრჩეველს ნაბი-ბეის, პირველს, მეორეს და მესამე მდივანს, აგრეთვე ამ საელჩოს ატტაშესა და მთავარ ელჩს უცნობებიათ ილდიზ-კიოსკში, რომ იძულებულნი ვიქმნებით ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობას მივემხროთ, თუ ჯამაგირს იმდენს არ მოგვცემთ, რამდენიც გვეკუთვნისო.

**კაპშტადტი.** როგორც იუწყებიან, გაილენდერთა ქვეითა რაზმი მოულოდნელად დასცემია ბრანფორდის ოლქში მტერს და გაუფანტნია, ამასთან 12 ბური მოუკლავს, 13 დაუჭრია და 12 ტყვედ წაუყვანია.

**საუტგამპტონი.** მილნერი მოვიდა სამხრეთ აფრიკიდგან.

**მადრიდი.** ხმა დადის, რომ საგასტასა და მორეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა არჩევანების დროს მომხდარ ინციდენტის გამოო. შესაძლებელია სამინისტრო კრიზისი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

რაოდენი ფულია ხმარებაში დღეს მთელ დედამიწის ზურგზედ? როგორც ამერიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, მთელ დედა-მიწის ზურგზედ 1900 წლის გასულს ხმარებაში იყოჲსულ 23,200,000,000 მანეთი ოქროსი, ვერცხლისა და ქაღალდის ფული. პირველი ადგილი ფულის სიმრავლით დღეს ამერიკის შტატის რესპუბლიკას უჭირავს; იქ ხმარებაშია 2,020 მილიონი მანეთი ოქროსი და 1,183 მილ. მანეთი ვერცხლის ფული; შემდეგ საფრანგეთსა—1,629 მილ. მანეთი ოქროსი, 842 მილ. მან. ვერცხლისა და 388 მილ. მანეთი ქაღალდის ფული; გერმანიას—1,305 მილ. მან. ოქროსი, 415 მილ. მან. ვერცხლისა და 346 მილ. მან. ქაღალდის ფული; მეოთხე ადგილი ინგლისს უჭირავს, სადაც ხმარებაშია 972 მილ. მანეთი ოქროსი, 223 მილ. მანეთი ვერცხლისა და 224 მილიონ მანეთი ქაღალდის ფული. შედარებით ოქროს ფული ყველაზედ მეტი ავსტრალიასა და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებშია.

* *
*

ნორვეგიაში ამას წინად ქალებმა ერთხელ კიდევ გაიმარჯვეს. როგორც ვუწყით, ჯვარის წერის დროს ეკკლესია თხოულობს, ცოლმა შეჰფიცოს ხოლმე ქმარს, რომ იგი ერთგული და მორჩილი იქმნება მეუღლისა. ნორვეგიელმა ქალებმა კარგა ხანია ხმა აიმაღლეს სიტყვის „მორჩილის“ წინააღმდეგ და ეხლა მიაღწიეს კიდეც გულის წადილს. სახელმწიფო საბჭომ ქრისტიანიაში ამას წინად გადასწყვიტა გამოაკლოს ფიცის სიტყვებს სიტყვა მორჩილი.

* *
*

ერთ ნემეცურ გაზეთს საყურადღებო ცნობები შეუკრებია იმის შესახებ, თუ ციურიხის წიგნთ-საცავში რა წიგნებს უფრო კითხულობენ. რადგანაც ციურიხი ნემეცებითაა უმთავრესად დასახლებული, ამიტომ პირველი ადგილი ნემეცურ წიგნებს უჭირავთ. შემდეგ უფრო კითხულობენ ფრანგულს, ინგლისურსა და იტალიანურს წიგნებს. კერძოდ, ავტორებს შორის ყველაზედ მეტი გასავალი ჰქონია უცნობ მწერალს ნატალია ფონ ეშრუტის თხზულებებს. ამ ავტორს პოლ გეიზე მისდევს, მერე ლ. ტოლსტოი, შპილგაგენი, ზუდერმანი, ებნერ-ეშენბახი, გოფმანი და სხვანი. ფრანგ მწერალთა შორის პირველობა მოპასანს ეკუთვნის, შემდეგ უფრო კითხულობენ დოდეს, ბურჟეს, ზოლას და პრევოს; ინგლისელ მწერალთაგან კიდევ—კიპლინგს.

* *
*

ცნობილმა ბაქტერიოლოგმა კლეინმა ამას წინად გამოაქვეყნა თავის გამოკვლევათა ნაყოფი. ეს გამოკვლევანი ბაცილების ცხოვრებას შეეხება. როგორც კლეინს აღმოუჩენია, კაცის სიკვდილის შემდეგ ხოლერისა და სახადის ბაცილა ადამიანის სხეულში 19 დღეს კიდევა ცოცხლობს, შავის ჭირის ბაცილა—17 დღეს; ჭლექის ბაცილაკი თითქმის იმავე დროს კვდება, რა დროსაც იმის მიერ დასნეულებული კაცი ესალმება წუთი-სოფელს.

# განცხადებანი


## ისყიდება

საკერავი ფეხებიანი მანქანა, როიალი და ცხენი ყაბარდოს ჯიშისა, იორღა და უსნეულო. რუსტოვის ქუჩა, 43. მსურველს ეზოში შეუძლიან იკითხოს. (2—125—1)

განვიზრახე რა [illegible] ლი ამ სათაურით: „საქართველო რუსეთის მწერალთა, პოეტთა და პუბლიცისტთა ნაწარმოებით“, ვთხოვ იმათ, ვინც ამ ჩემ განზრახვას თანაუგრძნობენ, აღნიშნონ რუსეთის მწერალთა ის წერილები საქართველოს შესახებ, რომელთა ამ კრებულში მოთავსებაც სასურველია.

როტმისტრი ბორის ესაძე.

ქუკია, კოჩუბეის ქ., საკ. სახლი, № 14.
(3—უ—3)

**გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის**

## „მხტა“-სი

აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა $10^0/_0$-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თვითეულს პაიზედ, დანიშნულია 11-დგან 21 მაისამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ საამხანაგო ხელშეკრულების მე-7 §-ს. ამხანაგობის კანტორა ერევნის მოედანზეა, ხარაზოვის სახლში.
(4—116—4)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი** ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამ წლის მაისის 26, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში.

**განსახილველი საგნები:**

1) 1900 წ. საზოგადოების მოქმედების ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება.

2) 1901 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

3) მოხსენება საზოგადოების საჭიროებისათვის სახლის აშენების საქმის მდგომარეობის შესახებ.

და (4 სხვა და-სხვა თხოვნები და წვრილმანი კითხვები. (3—6.—2)

ძალიან ხშირად უბედურ შემთხვევების შემდეგ დამავებულნი და დაზარალებულნი სწუხან, რომ თავისს დროზედ ასეთ შემთხვევისათვის საჭირო ღონისძიებანი არ მიიღეს.

ქონებრივ ზარალისა და ყოველ გვარ უბედურების თავიდგან ასაცილებლად, ვურჩევთ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას დამზღვევ საზოგადოებას „როსსიაში“. ყოველ წლიურის შესატანით 20-დგან 50 მანეთამდე, ხელობისა და საქმის მიხედვით, შეიძლება დაზღვევა 10,000 მანეთისა იმ შემთხვევისათვის, თუ მოკვდა, და 10,000 მანეთისა, თუ დაშავდა.

დაზღვევა შეიძლება 1000 დგან 200,000 მანეთამდე.

1900 წელს დამზღვევმა საზოგადოებამ იმ დაზღვეულთა დასაჯილდოებლად, რომელთაც უბედურება შეემთხვათ, გასცა 1,200,000 მანეთი.

დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, დიდი მორსკაია, № 37), საზოგადოების განყოფილებაში ქ. ტფილისს (სერგიევის ქუჩა, № 6) და აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში. (4—122—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Мая 1901 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.